



„13.“ 11 2015წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქ-ნ. თეა წულუკიანს
საქართველოს საპროკურორო საბჭოს
არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს
ადამიანთა და პატიმართა უფლებების დაცვის
საზოგადოების“ თავმჯდომარე გონა კვესადის
რეკომენდაცია

ქალბატონო თეა, საპროკურორო საბჭოს პატივცემულო წევრებო!

ქ. კუთაისში მოქმედი არასამთავრობო „საქართველოს ადამიანთა და პატიმართა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ორგანიზაცია წარმოგიდგენთ საქართველოს მთავარი პროკურორობის თანამდებობაზე ასარჩევად ბატონ პაატა შავაძის კანდიდატურას. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში აღნიშნული პიროვნება შეძლებს იმ უმთავრესი მისიის შესრულებას, რაც ჩვენმა საზოგადოებამ დააკისრა ქვეყნის ხელისუფლებას და რასაც სამართლიანობის აღდგენა დამკვიდრება ჰქვია ქვეყანაში.

ბატონი პაატა შავაძე გახლავთ საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარე, ღირსეული პიროვნება, უფლება დამცველი იურისტი, სამართლის დოქტორი, იურისტთა თაობების აღმზრდელი. უამრავი საინტერესო ნაშრომის, სახელმძღვანელოების თუ დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი თუ თანაავტორი. მიგვაჩნია, რომ თავისი ბეგრანდით, უმწიკვლო წარსულით, პატიოსნებითა და კანონმორჩილებით ბატონი პაატა შავაძე ნამდვილად იმსახურებს არჩეული იქნას საქართველოს მთავარი პროკურორის მადლად, საბატიო და საპასუხისმგებლო პოსტზე.

დასახელებული კანდიდატთან მხოლოდ ბატონმა პაატა შავაძემ მისცა თავს უფლება და საზოგადოების წინაშე წარმოადგინა თავისი ხედვები და სამოქმედო პროგრამა. ასევე ის მმართველი გუნდი, რომელთან ერთადაც ის გვემავს შეცვალოს საგამოძიებო უწყება, ჩააყენოს იგი მხოლოდ და მხოლოდ ხალხისა და სამართლიანობის სამსახურში დაამკვიდროს ქვეყანაში კანონიერება და სამართლიანობა.

მოგვხსენებთ, ბატონი პაატა მოღვაწეობს ქალაქ ბათუმში და ბრწყინვალედ უძღვება კორუპციის წინააღმდეგ ბრძოლასა და კანონიერების დაცვის საკითხებს ჩვენს ქვეყანაში.

თავმჯდომარე:



გონა კვესადე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
პროცესუალური (დებარდობის)
სამსახურის განყოფილება
16 11 2015წ.
04/19/216

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა, თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ ყველაზე გახმაურებულ საქმეს. ეს საქმე გახლავთ ზუგდიდის უშიშროების საქალაქო განყოფილების 8-ა თანამშრომლის გასამართლება უზენაეს სასამართლოში, ბრალდება იმდენად აბსურდული და შეთითხნილი იყო, მათ გასამართლებაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავამ კატეგორიულად უარი განაცხადა. არა და მაშინდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი პირდაპირ აძალებდა მოსამართლეს ერთი მაინც ჩაესვა ციხეში. სასამართლო მაინც შედგა, უზენაის სასამართლოს წევრმა გაბრიჭიძემ უშიშროების 8 თანამშრომელი გაასამართლა და განაჩენი ის დადო რასაც მისგან ადვიშვილი და კოტე კუბლაშვილი ითხოვდა. კერძოდ ერთს ონისე ხუბულავას 3-წლით ციხე შეუფარდა, სხვებს კი 2-2 წელი პირობითი სასჯელი ჩამოურიგა. ამ საქმის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟში ჩარეული იყვნენ, სააკაშვილი, ადვიშვილი, კუბლაშვილი, მამა-შვილი როლანდ და დათა ახალაიები. აჟიოტაჟი ეწ. მეომრისე მოსამართლეების დასჯით დამთავრდა. დღეს სამართლიანობის აღდგენის იმედით ამ ადამიანების განცხადება, საჩივარი დევს გენ. პროკურატურაში პროკურორ მიქვასთან. პროკურორი მიქავა ამ საქმესთან დაკავშირებით განგვიმარტავს: მანამ არ შეიქმნება უზენაეს სასამართლოში შესაბამისი პალატა, რომელიც მხოლოდ ხარვეზებიანი განაჩენების განხილვით იქნება დაკავებული, მანამ განცხადება-საჩივარი იქნება უჯრაში ჩაკეტილი, სწორედ იმის გასაგებად, თუ როდის შეიქმნება უზენაეს სასამართლოში შესაბამისი პალატა. წერილით მივმართეთ ქალბატონ ნინო გვენეტაძეს, აგრეთვე ვთხოვდით რამდენადაც შესაძლებელი იყო ამ პალატის შექმნის დაჩქარება. სამწუხაროდ პასუხი საკმაოდ ზერელე მივიღეთ. თვითონ განსაჯეთ უზენაის სასამართლოს საერთო განყოფილების უფროსი დიდავა გვირჩევეს. უზენაეს სასამართლოში გასამართლებული და კანონიერ ძალაში შესული განაჩენი 310 მეხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოში გავსაჩივროთ. უზენაეს სასამართლოში ახალი პალატის შექმნაზე, ბატონი დიდავა განგვიმარტავს: მისი სიტყვებია-„რაც

საპროცესო მ. შ. შ. შ. საპროცესო
საპროცესო მ. შ. შ. შ. საპროცესო
საპროცესო მ. შ. შ. შ. საპროცესო
16 11 2015
№ 01/19221

შეხება უზენაეს სასამართლოში ახალი პალატის შექმნის საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემთხვევაში სასამართლო იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას იმსჯელოს თქვენს მოთხოვნაზე“-ასკვნის ბატონი დიდავა.

ქალბატონო თეა, თუ ხარვეზებიანი განაჩენების გადახედვას სერიოზულად აპირებთ, მაშინ გაგვიმართეთ, აგვისტოს შესაბამისი პალატა, რომელიც ხარვეზებიან განაჩენებს განიხილავს, უზენაის სასამართლოში თუ შეიქმნება და როდის მოხდება ეს.

პატივისცემით:



/ალეკო კაკულია/

უშიშროების ყოფილი თანამშრომლის მერაბ კაკულიას მამა

ზუგდიდი სოფ: ოდიში

ტელ: 599-73-72-04.